

ს დ ა ს უ

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი




თბილისი

2018

1

სარჩევი

მედიცინისა და სტომატოლოგიის სკოლა	3
სამკურნალო საქმის საგანმანათლებლო პროგრამა	3
სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა	10



მედიცინისა და სტომატოლოგიის სკოლა

ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა „სამკურნალო საქმე“

სწავლების საფეხური:	ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა (სწავლის შედეგებით უთანაბრდება უმაღლესი განათლების მეორე საფეხურს)
მიმართულება:	ჯანდაცვა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	დიპლომირებული მედიკოსი Medical Doctor (MD)
პროგრამის ხაგრძლივობა:	6 წელი (12 სემესტრი)
პროგრამის მოცულობა კრედიტებში:	360 კრედიტი
სწავლების ენა:	ქართული
პროგრამაზე სწავლის წინაპირობა:	ერთიანი ეროვნული გამოცდები
პროგრამის ხელმძღვანელები:	მედიცინის დოქტორი ნოდარ ხოდელი პროფესორი ლალი საგინაძე

პროგრამის მიზნები

საგანმანათლებლო პროგრამა „სამკურნალო საქმის“ მიზანია სტუდენტებისათვის დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალებზე ორიენტირებული საერთაშორისო სამედიცინო სტანდარტების შესაბამისი ცოდნის მიცემა და შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავება; კლინიკური და კომუნიკაციური უნარ-ჩვევების გამომუშავება; საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის შესახებ ცოდნის მიცემა და ამ სისტემაში ექიმის როლის გაცნობიერება; ჯგუფში მუშაობის, ამოცანების მკაფიოდ ფორმულირების, ჯგუფის წევრების საქმიანობის კოორდინირებისა და ადექვატური შეფასების, პროფესიული სუბორდინაციის, კონფლიქტური

და ფორსმაჟორული სიტუაციების მართვის უნარის გამომუშავება; სამედიცინო პრაქტიკასა და კვლევაში ბიომედიცინის სამეცნიერო პრინციპების, მეთოდებისა და ცოდნის გამოყენება; დაავადებათა დიაგნოსტიკის, მკურნალობის და პროფილაქტიკის ძირითადი პრინციპების, თეორიების, კონცეფციების და მეთოდების ათვისება; კლინიკური აზროვნების განვითარება; სათანადო ინფორმაციის შეგროვების, დამუშავების, ანალიზისა და მათ საფუძველზე დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბების უნარის გამომუშავება; ცოდნის განუწყვეტელი განახლებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების აუცილებლობის გაცნობიერება; ექიმის პროფესიისთვის მნიშვნელოვანი ეთიკური და სამართლებრივი ღირებულებების გამომუშავება, შედეგად კი ნაციონალური ჯანდაცვის მოთხოვნების გათვალისწინებით, შიდა და საგარეო საგანმანათლებლო და შრომის ბაზარზე კვალიფიციური, თანამედროვე ცოდნით აღჭურვილი კადრის მომზადება, რომელიც მზად არის შეხვდეს იმ გამოწვევებს, რომელსაც უმზადებს კონკურენცია და ახალი ტექნოლოგიების გამოყენება. სწრაფად განვითარებადი დარგის პირობებში შეძლოს თავისი პოტენციალის რეალიზება შრომის ბაზარზე, დასაქმდეს უმცროსი ექიმის პოზიციაზე დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების მქონე პირთან, ჩაერთოს პედაგოგიურ და სამეცნიერო საქმიანობაში. სწავლა გააგრძელოს დოქტორანტურაში ან გაიაროს რეზიდენტურის კურსი და უნიფიცირებული სახელმწიფო გამოცდის ჩაბარების შემდეგ შეასრულოს თავისი პროფესიული საქმიანობა, კერძოდ კი ქვეყანაში აღიარებული სამედიცინო სტანდარტებისა და ეთიკური ნორმების გამოყენებით, საექიმო ტრადიციების გათვალისწინებით, ემსახუროს ადამიანის ჯანმრთელობის დაცვას, შენარჩუნებასა და გაუმჯობესებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა

საგანმანათლებლო პროგრამა "სამკურნალო საქმე" ორიენტირებულია დიპლომირებული მედიკოსის აკადემიური ხარისხის შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მიღწევაზე და სწავლის შედეგებით უთანაბრდება უმაღლესი განათლების მეორე საფეხურს. საგანმანათლებლო პროგრამით სწავლება ითვალისწინებს სასწავლო კურსების შესწავლას, ამ პროცესში სტუდენტის საკონტაქტო და დამოუკიდებელ მუშაობას და გამოსაშვები საატესტაციო გამოცდის ჩაბარებას. სასწავლო კურსების შესწავლის ლოგიკურ თანმიმდევრობას, მათი წინაპირობებისა და სპეციფიკის გათვალისწინებით, ასახავს საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა.

საგანმანათლებლო პროგრამაში ადგილი აქვს სპეციალობის ძირითადი და თავისუფალი კომპონენტების კომბინირებას. თავისუფალ კომპონენტებში (22 კრედიტი) იგულისხმება თავისუფალი კრედიტები და საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული არჩევითი სასწავლო კურსები, რომელთა არჩევა ხდება სასწავლო გეგმის მიხედვით და შესწავლის წინაპირობების გათვალისწინებით. თავისუფალი კრედიტები (მაქსიმუმ 10 კრედიტი)

სტუდენტმა შეიძლება დააგროვოს ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმიდან მისთვის საინტერესო სასწავლო კურსის არჩევით.

სამკურნალო საქმის საგანმანათლებლო პროგრამა

360 კრედიტი

სავალდებულო კომპონენტები:

- საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსი 15 კრედიტი
- სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები 323 კრედიტი

თავისუფალი კომპონენტები:

22 კრედიტი

- არჩევითი სასწავლო კურსები;
- თავისუფალი კრედიტები

სამკურნალო საქმის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები

სწავლება ითვალისწინებს ინტეგრირებულ განათლებას, რაც თავისი შედეგებით უთანაბრდება უმაღლესი განათლების მეორე საფეხურს. საგანმანათლებლო პროგრამით დასახული მიზნების თანმიმდევრული განხორციელება უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით:

ცოდნა და გაცნობიერება	<p><u>კურსდამთავრებულს აქვს:</u></p> <ul style="list-style-type: none"> • საბუნებისმეტყველო, ქცევითი, სოციალური და კლინიკური მეცნიერებების ღრმა და სისტემური ცოდნა; ადამიანის ორგანიზმის ნორმალური მორფოლოგიის, ორგანოების და სისტემების ფუნქციონირების შესახებ ცოდნა; ნორმასა და პათოლოგიაში სასიცოცხლო პროცესებისა და მექანიზმების ცოდნა; ადამიანის ორგანიზმში ამა თუ იმ პათოლოგიური მდგომარეობის დროს განვითარებული დარღვევების სიმპტომების შესახებ ცოდნა; მწვავე და ქრონიკული დაავადებების ეტიოლოგიის, პათოგენეზის, კლინიკური მიმდინარეობის, დიაგნოსტიკისა და დიფერენციალური დიაგნოსტიკის შესახებ ცოდნა; გამოკვლევის მეთოდური მხარის შესახებ ცოდნა. • მედიკამენტების ძირითადი ჯგუფების და მათი დანიშვნის პრინციპების ცოდნა; • ეპიდემიოლოგიის, ჯანმრთელობის მართვის საფუძვლების და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის შესახებ ცოდნა. ჯანდაცვის სისტემაში ექიმის როლის გაცნობიერება;
------------------------------	--

	<ul style="list-style-type: none"> • სათანადო ტერმინოლოგიის. კლასიფიკაციის სისტემების ცოდნა. • ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების ღრმა და გააზრებული ცოდნა.
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p><u>კურსდამთავრებულს შეუძლია:</u></p> <ul style="list-style-type: none"> • პაციენტისთვის კონსულტაციის გაწევა: ანამნეზის შეკრება, ფიზიკური გამოკვლევების ჩატარება, პაციენტის გამხსნევა, განმარტებებისა და რჩევების მიცემა; • კლინიკური შემთხვევების შეფასება, გამოკვლევების დანიშვნა და შედეგების ინტერპრეტაცია, დიფერენციული დიაგნოზის გატარება, დაავადების მართვის გეგმის შესახებ მსჯელობა, სამედიცინო პრობლემების განხილვაში მონაწილეობის მიღება; • გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობების ამოცნობა, შეფასება, ბაზისური პირველადი დახმარების გაწევა და სარეანიმაციო ღონისძიებების ჩატარება; • მედიკამენტების გამოწერა, შესაბამისი წამლის კლინიკურ კონტექსტთან დაკავშირება, მკურნალობის შესაბამისობის განხილვა და პოტენციური სარგებლისა და რისკის შეფასება, მედიკამენტების თავსებადობის გათვალისწინება მკურნალობის დანიშვნისას; • პაციენტის გამოკვლევის ოპტიმალური გეგმის შედგენა და საჭიროების შემთხვევაში ადექვატური მკურნალობის დაწყება; • პაციენტის დაავადებასთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური და სოციალური ასპექტების შეფასება, ალკოჰოლსა და წამალზე დამოკიდებულების დადგენა; • მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრინციპების, უნარებისა და ცოდნის გამოყენება; • პრაქტიკული პროცედურების ჩატარება: პაციენტის ტრანსპორტირება, ნაკერის დადება, ელექტროკარდიოგრამის გადაღება და ინტერპრეტაცია და სხვ; • სამედიცინო პრაქტიკასა და კვლევაში ბიომედიცინის სამეცნიერო პრინციპების, მეთოდებისა და ცოდნის გამოყენება, სამეცნიერო კვლევის წარმართვის ეთიკის პრინციპების ცოდნა; • ჯანდაცვის სისტემაში ეფექტური მუშაობა, საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხებში ჩართვა, ჯანდაცვის ხელშეწყობის ღონისძიებების განხორციელება, გაცნობიერებული აქვს საკუთარი ჯანმრთელობის პრობლემები და შეუძლია პროფესიულ მოვალეობებთან მიმართებაში საკუთარი ჯანმრთელობის შეფასება; • ჯგუფში მუშაობა, როგორც რიგითი წევრის, ასევე ლიდერის

	<p>სტატუსით, პროფესიული სუბორდინაციის პრინციპების დაცვა, ახალ გარემოსთან ადაპტაცია, ჯგუფის წევრებთან კოორდინირებული, შეთანხმებული მოქმედებით კონფლიქტური სიტუაციების მართვა.</p>
<p>დასკვნის უნარი</p>	<p><i>კურსდამთავრებულს აქვს:</i></p> <ul style="list-style-type: none"> • კლინიკური აზროვნება; • ანალიზისა და სინთეზის უნარი; • პაციენტთა მდგომარეობის შეფასების უნარი; • არასრული და წინააღმდეგობრივი მონაცემების შეფასების, დამოუკიდებლად გაანალიზების, შედეგების გადმოცემის და მათი გამოყენების უნარი; • ახალი ინფორმაციისადმი კრიტიკულად მიდგომის, მონაცემების გაანალიზების, შეჯამების, ინტეგრაციის, დასკვნის გამოტანის უნარი; • დიფერენციული დიაგნოზის გატარების, დიაგნოზის ჩამოყალიბებისა და დასაბუთების უნარი; • გადაწყვეტილების მიღების უნარი, კერძოდ, კომპლექსური პრობლემის დამოუკიდებლად ჩამოყალიბების, მისი გადაჭრის გზების განსაზღვრის, მოსალოდნელი შედეგების ანალიზისა და საბოლოოდ გადაწყვეტილების მიღების უნარი; • საჭიროების შემთხვევაში დამატებითი რესურსების ეფექტურად გამოყენების უნარი.
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p><i>კურსდამთავრებულს აქვს:</i></p> <ul style="list-style-type: none"> • კომუნიკაციის უნარი, მათ შორის უცხო ენაზე, შეხვედრებში მონაწილეობის და თავისი მოსაზრებების ზეპირსიტყვიერად თუ წერილობით გადმოცემის, დაკვირვების, მოსმენის, კითხვის დასმის, არავერბალური კომუნიკაციის უნარი; • პროფესიულ კონტექსტში მოლაპარაკებების წარმართვის და კონფლიქტების მოგვარებაში მონაწილეობის უნარი. • სამედიცინო კონტექსტში ეფექტური წერილობითი (სამედიცინო ჩანაწერების წარმოება) და ზეპირი ფორმით (პაციენტთან, კოლეგებთან, ნათესავებთან, უნარშეზღუდულ პირებთან, სამართალდამცავ ორგანოებსა და მასმედიასთან, დამხმარე პირის საშუალებით, ინფორმირებული თანხმობის მისაღებად და სხვ.) კომუნიკაციის უნარი მშობლიურ და უცხო ენებზე. • სამედიცინო კონტექსტში ინფორმაციისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენება: სპეციფიკური საინფორმაციო რესურსის მოძიება, ინფორმაციის შენახვა, გამოყენება, პირადი ჩანაწერების (პორტფოლიო) შენახვის უნარი.

<p>სწავლის უნარი</p>	<p><u>კურსდამთავრებულს შეუძლია:</u></p> <ul style="list-style-type: none"> • სასწავლო-საინფორმაციო რესურსების სრული სპექტრის გამოყენება; • საკუთარი სწავლის პროცესის მართვა, დროის ორგანიზება, პრიორიტეტების შერჩევა, ვადების დაცვა, შეთანხმებული სამუშაოს შესრულება, რესურსების სწორად განაწილება; • ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება, კრიტიკულად შეფასება, გამოყენება; • ცოდნის განუწყვეტელი განახლების აუცილებლობის გაცნობიერება; • საკუთარი ცოდნისა და უნარ-ჩვევების ობიექტურად შეფასება; • პასუხისმგებლობის აღება შესრულებულ სამუშაოზე და მისი შეფასება და კრიტიკა.
<p>ღირებულებები</p>	<p><u>კურსდამთავრებულს შეუძლია:</u></p> <ul style="list-style-type: none"> • სამედიცინო კონტექსტში ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების გამოყენება, პაციენტის უფლებების დაცვა, კონფიდენციალობის დაცვა და სხვ. • პროფესიულ კონტექსტში მოლაპარაკების წარმართვა და კონფლიქტების მოგვარებაში მონაწილეობა ნებისმიერ პირთან; • პაციენტთან და კოლეგებთან სამართლიანობის, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით ურთიერთობა.

სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება ხდება 100-ქულიანი (max 100 ქულა) სისტემით და მოიცავს შეფასების ორ ფორმას - შუალედურ შეფასებას და დასკვნით შეფასებას (მაქს. 40 ქულა). შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 21 ქულა. დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი კი, დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური შეფასების 50 პროცენტია. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასების) გამოყენებით. სასწავლო კურსის საბოლოო შეფასება (ქულა) წარმოადგენს შუალედური და დასკვნითი შეფასებების ფორმებში მიღებული ქულების ჯამს.

შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

(E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 0-40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები ასახულია სასწავლო კურსების სილაბუსებში. ინფორმაცია შეფასების სისტემისა და კომპონენტების შესახებ ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის.

საკონტაქტო პირი:

ნინო მეგრელიშვილი

მედიცინისა და სტომატოლოგიის სკოლის დეკანი, პროფესორი

ტელ.: (+995) 577 721 716

ელ-ფოსტა: nmegrelishvili@sdsu.edu.ge

ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა “სტომატოლოგია“

სწავლების საფეხური: ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა
(სწავლის შედეგებით უთანაბრდება უმაღლესი განათლების მეორე საფეხურს)

მიმართულება: ჯანდაცვა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: დიპლომირებული სტომატოლოგი
Doctor of Dental Medicine (D.M.D)

პროგრამის ხაგრძლივობა: 5 წელი (10 სემესტრი)

პროგრამის მოცულობა კრედიტებში: 300 კრედიტი

სწავლების ენა: ქართული

პროგრამაზე სწავლის წინაპირობა: ერთიანი ეროვნული გამოცდები

პროგრამის ხელმძღვანელი: პროფესორი ქეთევან ფრანჩუკი

პროგრამის მიზნები

საგანმანათლებლო პროგრამა “სტომატოლოგიის“ მიზანია სტუდენტებისათვის დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალებზე ორიენტირებული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ცოდნის მიცემა, კლინიკური და კომუნიკაციური უნარ-ჩვევების გამომუშავება; საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის შესახებ ცოდნის მიცემა და ამ სისტემაში ექიმის როლის გაცნობიერება; ჯგუფში მუშაობის, ამოცანების მკაფიოდ ფორმულირების, ჯგუფის წევრების საქმიანობის კოორდინირებისა და ადექვატური შეფასების, პროფესიული სუბორდინაციის, კონფლიქტური და ფორსმაჟორული სიტუაციების მართვის უნარის გამომუშავება; სამედიცინო პრაქტიკასა და კვლევაში ბიომედიცინის სამეცნიერო პრინციპების, მეთოდებისა და ცოდნის გამოყენება; კრიტიკული აზროვნების განვითარება; სტომატოლოგიურ დაავადებათა დიაგნოსტიკის, მკურნალობის და პროფილაქტიკის ძირითადი პრინციპების, თეორიების, კონცეფციების და მეთოდების სწავლება და მათი კლინიკაში გამოყენების უნარი; სტომატოლოგიის და ზოგადად მედიცინის სფეროში

საინფორმაციო ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენების, სათანადო ინფორმაციის შეგროვების, დამუშავების, ანალიზისა და მათ საფუძველზე დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბების უნარის გამომუშავება; ცოდნის განუწყვეტელი განახლებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების აუცილებლობის გაცნობიერება; ექიმის პროფესიისთვის მნიშვნელოვანი ეთიკური და სამართლებრივი ღირებულებების გამომუშავება; შედეგად კინაციონალური ჯანდაცვის მოთხოვნების გათვალისწინებით, შიდა და საგარეო საგანმანათლებლო და შრომით ბაზარზე კონკურენტუნარიანი, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ცოდნით და უნარ-ჩვევებით აღჭურვილი კვალიფიციური სპეციალისტის დიპლომირებული სტომატოლოგის მომზადება. რომელიც მზად არის შემდგომი განათლებისა და პროფესიული განვითარებისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა

საგანმანათლებლო პროგრამა "სტომატოლოგია" სწავლის შედეგებით უთანაბრდება უმაღლესი განათლების მეორე საფეხურს. მისაღწევი კომპეტენციების ფორმირება ხდება ლოგიკურად და თანმიმდევრულად და განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსს, სტრუქტურასა და სასწავლო გეგმას. პროგრამა მოიცავს 67 სავალდებულო სასწავლო კურსს და 21 არჩევით კურსს. საგანმანათლებლო პროგრამით სწავლება ითვალისწინებს შემდეგ სასწავლო კომპონენტებს - სასწავლო კურსების შესწავლას, ამ პროცესში სტუდენტის საკონტაქტო და დამოუკიდებელ მუშაობას და გამოსაშვები საატესტაციო გამოცდის ჩაბარებას. სასწავლო კომპონენტების შესწავლის ლოგიკურ თანმიმდევრობას, მათი სპეციფიკისა და წინაპირობების გათვალისწინებით, ასახავს საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა.

საგანმანათლებლო პროგრამაში ადგილი აქვს სპეციალობის ძირითადი და თავისუფალი კომპონენტების კომბინირებას. თავისუფალ კომპონენტებში (20 კრედიტი) იგულისხმება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული არჩევითი სასწავლო კურსები, რომელთა არჩევა ხდება სასწავლო გეგმის მიხედვით შესწავლის წინაპირობების გათვალისწინებით და თავისუფალი კრედიტები. თავისუფალი კრედიტები (მაქსიმუმ 10 კრედიტი) სტუდენტმა შეიძლება დააგროვოს ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმიდან მისთვის საინტერესო სასწავლო კურსის არჩევით.

სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა

300 კრედიტი

სავალდებულო კომპონენტები:

280 კრედიტი

• საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები;

15 კრედიტი

• სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები;

265 კრედიტი.

თავისუფალი კომპონენტები:

20 კრედიტი

- არჩევითი სასწავლო კურსები
- თავისუფალი კრედიტები

სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები:

სწავლება ითვალისწინებს ინტეგრირებულ განათლებას, რაც თავისი შედეგებით უთანაბრდება უმაღლესი განათლების მეორე საფეხურს. საგანმანათლებლო პროგრამით დასახული მიზნების თანმიმდევრული განხორციელება უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მიხედვით:

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p><u>კურსდამთავრებულს აქვს:</u></p> <ul style="list-style-type: none"> • საბუნებისმეტყველო, ქცევითი, სოციალური და კლინიკური მეცნიერებების ღრმა და სისტემური ცოდნა; ადამიანის ორგანიზმის ნორმალური მორფოლოგიის, ორგანოების და სისტემების ფუნქციონირების შესახებ ცოდნა, აქცენტებით თავისა და კისრის მიდამოზე; ნორმასა და პათოლოგიაში სასიცოცხლო პროცესებისა და მექანიზმების ცოდნა; ადამიანის ორგანიზმში ამა თუ იმ პათოლოგიური მდგომარეობის დროს განვითარებული დარღვევების სიმპტომების შესახებ ცოდნა, აქცენტებით თავისა და კისრის მიდამოზე; მწვავე და ქრონიკული დაავადებების ეთიოლოგიის, პათოგენეზის, კლინიკური მიმდინარეობის (პროგრესირების), დიაგნოსტიკისა და დიფერენციალური დიაგნოსტიკის შესახებ ცოდნა; გამოკვლევის მეთოდური მხარის ცოდნა. • მედიკამენტების ძირითადი ჯგუფების და მათი დანიშვნის პრინციპების ცოდნა; • ეპიდემიოლოგიის, ჯანმრთელობის მართვის საფუძვლების და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის შესახებ ცოდნა. ჯანდაცვის სისტემაში ექიმის როლის გაცნობიერება; • სათანადო ტერმინოლოგიის. კლასიფიკაციის სისტემების ცოდნა. • ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების ღრმა და გააზრებული ცოდნა.
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p><u>კურსდამთავრებულს შეუძლია:</u></p> <ul style="list-style-type: none"> • სტომატოლოგიური პაციენტისთვის კონსულტაციის გაწევა; • გადაუდებელი სტომატოლოგიური შემთხვევების დროს პირველადი დახმარების გაწევა; • პროფილაქტიკური და ჰიგიენური ღონისძიებების გატარება; • დიფერენციული დიაგნოსტიკის გატარება, სამედიცინო პრობლემების

	<p>განხილვაში მონაწილეობის მიღება;</p> <ul style="list-style-type: none"> • მედიკამენტების გამოწერა, შესაბამისი წამლის კლინიკურ კონტექსტთან დაკავშირება, მკურნალობის შესაბამისობის განხილვა და პოტენციური სარგებლისა და რისკის შეფასება; • სტომატოლოგიური პაციენტის გამოკვლევის ოპტიმალური გეგმის შედგენა და საჭიროების შემთხვევაში ადექვატური მკურნალობის დაწყება; • სტომატოლოგიური პაციენტის დაავადებასთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური და სოციალური ასპექტების შეფასება; პაციენტის ეფექტური მართვა; • პრაქტიკული პროცედურების ჩატარება; • ჯანდაცვის სისტემაში ეფექტური მუშაობა, საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხებში ჩართვა, გაცნობიერებული აქვს საკუთარი ჯანმრთელობის პრობლემები და შეუძლია პროფესიულ მოვალეობებთან მიმართებაში საკუთარი ჯანმრთელობის შეფასება; • ჯგუფში მუშაობა, როგორც რიგითი წევრის, ასევე ლიდერის სტატუსით, პროფესიული სუბორდინაციის პრინციპების დაცვა, ახალ გარემოსთან ადაპტაცია, ჯგუფის წევრებთან კოორდინირებული, შეთანხმებული მოქმედებით კონფლიქტური სიტუაციების მართვა.
<p>დასკვნის უნარი</p>	<p><u>კურსდამთავრებულს აქვს:</u></p> <ul style="list-style-type: none"> • ანალიზისა და სინთეზის უნარი; • კლინიკური აზროვნება; • პაციენტის მდგომარეობის შეფასების უნარი; • არასრული და წინააღმდეგობრივი მონაცემების შეფასების, გაანალიზების და მათი გამოყენების უნარი; • კლინიკური შემთხვევის შეფასების, გამოკვლევების დანიშვნის, დიფერენციული დიაგნოზის გატარების, დიაგნოზის ჩამოყალიბებისა და დასაბუთების უნარი; • პაციენტებთან და მათ მომვლელებთან დაავადების მართვის გეგმის განხილვის უნარი • ახალი ინფორმაციისადმი კრიტიკულად მიდგომის, მონაცემების გაანალიზების, შეჯამების, ინტეგრაციის, დასკვნის გამოტანის უნარი; • გადაწყვეტილების მიღების უნარი, კერძოდ, კომპლექსური პრობლემის დამოუკიდებლად ჩამოყალიბების, მისი გადაჭრის გზების განსაზღვრის, მოსალოდნელი შედეგების ანალიზისა და საბოლოოდ გადაწყვეტილების მიღების უნარი.
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p><u>კურსდამთავრებულს შეუძლია:</u></p> <ul style="list-style-type: none"> • კომუნიკაციის უნარი, მათ შორის უცხო ენაზე, შეხვედრებში მონაწილეობა

	<p>და თავისი მოსაზრებების ზეპირსიტყვიერად თუ წერილობით გადმოცემა, აქვს დაკვირვების, მოსმენის, კითხვის დასმის უნარი;</p> <ul style="list-style-type: none"> • პროფესიულ კონტექსტში მოლაპარაკებების წარმართვა და კონფლიქტების მოგვარებაში მონაწილეობა; • სამედიცინო კონტექსტში ეფექტური წერილობითი (სტომატოლოგიური ჩანაწერების წარმოების უნარი) და ზეპირი ფორმით (პაციენტთან, კოლეგებთან, ნათესავებთან, უნარშეზღუდულ პირებთან, სამართალდამცავ ორგანოებსა და მასმედიასთან) კომუნიკაცია მშობლიურ და უცხოურ ენებზე; • სამედიცინო კონტექსტში ინფორმაციისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენება: სპეციფიკური საინფორმაციო რესურსის მოძიება, ინფორმაციის შენახვა, გამოყენება, პირადი ჩანაწერების (პორტფოლიო) შენახვის უნარი.
<p>სწავლის უნარი</p>	<p><u>კურსდამთავრებულს შეუძლია:</u></p> <ul style="list-style-type: none"> • სასწავლო-საინფორმაციო რესურსების სრული სპექტრის გამოყენება მათ შორის დარგობრივ სფეროში; • ახალი ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება; • საკუთარი სწავლის პროცესის მართვა, დროის დაგეგმა და ორგანიზება, გეგმის შედგენა, პრიორიტეტების შერჩევა, ვადების დაცვა, რესურსების სწორად განაწილება; • ცოდნის განუწყვეტელი განახლების აუცილებლობის გაცნობიერება; • საკუთარი ცოდნისა და უნარ-ჩვევების ობიექტურად შეფასება; • პასუხისმგებლობის აღება შესრულებულ სამუშაოზე და მისი შეფასება და კრიტიკა.
<p>ღირებულებები</p>	<p><u>კურსდამთავრებულს აქვს:</u></p> <ul style="list-style-type: none"> • სამედიცინო კონტექსტში ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების ცოდნა, შეუძლია პაციენტის უფლებების დაცვა, კონფიდენციალობის დაცვა; • პროფესიულ კონტექსტში მოლაპარაკების წარმართვისა და კონფლიქტების მოგვარებაში მონაწილეობის უნარი; • პაციენტთან და კოლეგებთან სამართლიანობის, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით ურთიერთობის უნარი.

სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება ხდება 100-ქულიანი (max 100 ქულა) სისტემით და მოიცავს შეფასების ორ ფორმას - შუალედურ შეფასებას და დასკვნით შეფასებას (მაქს. 40 ქულა). შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 21 ქულა. დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი კი, დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური შეფასების 50 პროცენტია. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასების) გამოყენებით. სასწავლო კურსის საბოლოო შეფასება (ქულა) წარმოადგენს შუალედური და დასკვნითი შეფასებების ფორმებში მიღებული ქულების ჯამს.

შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 0-40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები ასახულია სასწავლო კურსების სილაბუსებში. ინფორმაცია შეფასების სისტემისა და კომპონენტების შესახებ ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის.

საკონტაქტო პირი:

ია ეგნატიევი

მედიცინისა და სტომატოლოგიის სკოლის დეკანის მოადგილე,
ასისტენტ პროფესორი

ტელ.: (+995) 593 53 00 35;

ელ-ფოსტა: iegnatievi@sdasu.edu.ge